



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

## \*030134254036413\*

KA030134254036413

№ 01-150/თ

24 / ივლისი / 2013 წ.

**„დეპრესიის მკურნალობა და მართვა მოზრდილებში“ - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციისა (გაიდლაინი) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლების) დამტკიცების თაობაზე**

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „კ<sup>1</sup>“ და „ვ<sup>2</sup>“ ქვეპუნქტებისა და მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის N249 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტების, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტისა და „კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნული საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 27 მარტის N94/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-17 პუნქტის შესაბამისად,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს:

- ა) კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტები (პროტოკოლები) - „დეპრესიის მკურნალობა და მართვა მოზრდილებში“ - თანდართული რედაქციით (დანართი N1);
- ბ) „დეპრესიის მკურნალობა და მართვა მოზრდილებში“ (მოკლე ვერსია) - დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) (დანართი N1.1);
- გ) რეკომენდაციები დეპრესიის მკურნალობისა და მართვის გაიდლაინის მიხედვით - დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) (დანართი N1.2);
- დ) „დეპრესიის მკურნალობა და მართვა მოზრდილებში“ ინფორმაცია სერვისის მომხმარებლებისთვის - დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) (დანართი N1.3).

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერიდან მე-15 დღეს.

მინისტრი

დავით სერგუენკო